სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

№01-05/65 2.02. 2021 წელი

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებად სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის დროებით შეჩერების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის №699 დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის №1127365 ბრძანების 1-ლი პუნქტის, 27 ნოემბრის №1131992 ბრძანების მე-3 პუნქტის და 2021 წლის 29 იანვრის №43965 ბრძანების მე-3 პუნქტის მოთხოვნათა საფუძველზე და აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტის 03.12.2020 წლის №197 &3, 07.12.2020 წლის №198 &10 და 22.12.2020 წლის №01-04/122 ბრძანებათა გათვალისწინებით, უნივერსიტეტში განხორციელებად, ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის შეჩერებასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

1. შეჩერდეს სასწავლო პროცესი ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე **2021 წლის 1 თებერვლიდან:**

ა) 2018 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

- ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი;
- ბიბლიოთეკარი;
- სისტემების ადმინისტრატორი.

ბ) 2019 წლის საგაზაფხულო მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

- მხატვრული ქსოვილები;
- ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება;
- ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი.

გ) 2019 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

- საავტომობილო გზების მშენებლობა;
- ბიბლიოთეკარი;
- ელექტროობა;
- საფინანსო სერვისები;

- მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება;
- მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება;
- მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება;
- ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი;
- სისტემების ადმინისტრატორი;
- სარეკლამო აგენტი.
- ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი.

დ) 2020 წლის მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

- საავტომობილო გზების მშენებლობა;
- ელექტროობა;
- მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება;
- მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება;
- მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი განახლდეს **2021 წლის 1 მარტიდან.**

3. კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის №699 დადგენილება და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის №1127365, 27 ნოემბრის №1131992 და 2021 წლის 29 იანვრის №43965 ბრძანებები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 30.11.2020 წლის №01-04/116 , 03.12.2020 წლის №197 &3, 07.12.2020 წლის №198 &10 და 22.12.2020 წლის №01-04/122 ბრძანებები.

უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი: პროფ. იმერი ბასილაძე

პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი: სერგო სვანაძე